

# ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF  
FREEDOM OF INFORMATION



## კანონშემოქმედებით პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გზამკვლევი

გზამკვლევი შეიქმნა ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ერთობლივი საპარლამენტო პროექტის მხარდაჭერით და „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტთან“ (IDFI) თანამშრომლობით.



## სარჩევი

|                                                                           |    |
|---------------------------------------------------------------------------|----|
| შესავალი .....                                                            | 3  |
| კანონშემოქმედებით პროცესში მოსახლეობის ჩართულობის მექანიზმები.....        | 4  |
| კანონპროექტის წარდგენა .....                                              | 4  |
| საკანონმდებლო წინადადების წარდგენა.....                                   | 5  |
| კანონპროექტის განხილვის სტადიები .....                                    | 6  |
| პეტიციის წარდგენა .....                                                   | 8  |
| კანონპროექტზე კომენტარის დატოვება.....                                    | 9  |
| სად შეიძლება პარლამენტში შემოსული კანონპროექტების ნახვა?.....             | 10 |
| სად შეიძლება კენჭისყრის შედეგების ნახვა?.....                             | 15 |
| პარლამენტის პლენარულ და საკომიტეტო სხდომებზე ფიზიკური პირის დასწრება .... | 19 |

## შესავალი

თანამედროვე სამყაროში საკანონმდებლო ხელისუფლების საქმიანობის საჯაროობა და მასში საზოგადოების აქტიური ჩართულობა დემოკრატიის განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წინაპირობას წარმოადგენს. სახელმწიფო, რომელსაც საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოების ამბიცია გააჩნია, საჯარო და კერძო სექტორებთან, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გზით, ვალდებულია საკანონმდებლო პროცესებთან დაკავშირებული ინფორმაცია საზოგადოებისათვის ადვილად ხელმისაწვდომი გახადოს, რაც თავის მხრივ, გაზრდის მოსახლეობის პასუხისმგებლობის შეგრძნებას და საფუძველს ჩაუყრის დემოკრატიული საზოგადოების განვითარებას. იმის გათვალისწინებით, რომ საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ განხორციელებული საქმიანობა მოსახლეობის ინტერესებიდან უნდა გამომდინარეობდეს, ხელისუფლებამ ხელი უნდა შეუწყოს და წახალისოს კანონშემოქმედებით პროცესში საზოგადოების მონაწილეობა.

კანონშემოქმედებით პროცესებში საზოგადოების ჩართულობა და ამ პროცესებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა „ღია მმართველობის პარტნიორობის“ (OGP) ფუძემდებლურ პრინციპებსაც წარმოადგენს. საქართველო აღნიშნული პარტნიორობის წევრი ქვეყანაა, რაც თავის მხრივ, კიდევ უფრო ზრდის განხილული საკითხების აქტუალობას. 2015 წელს საქართველოს პარლამენტი ასევე შეუერთდა საპარლამენტო ღიაობის დეკლარაციას, რომლის ძირითადი მიზნებია ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, ანგარიშვალდებულებისა და მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა. ამ მიზნების განხორციელებისათვის, 2015 წელს პარლამენტში შეიქმნა ღია მმართველობის საკოორდინაციო ინტერფრაქციული ჯგუფი, რომელმაც ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ერთობლივი საპარლამენტო პროექტის მხარდაჭერით და „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტთან“ (IDFI) თანამშრომლობით, შეიმუშავა საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმა. აღნიშნული სამოქმედო გეგმა მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან ვალდებულებებს, როგორიცაა პარლამენტის ვებგვერდის მეშვეობით კანონპროექტებზე კომენტარის ელექტრონულად დატოვების შესაძლებლობა, საქართველოს პარლამენტისათვის საკანონმდებლო წინადადებისა და საკანონმდებლო ინიციატივის ელექტრონული სახით წარდგენის და მოქალაქეთა მხრიდან მათი მხარდაჭერის მექანიზმების დანერგვა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის საპარლამენტო დოკუმენტაციაზე წვდომის გამარტივება და სხვა.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის წარმატებით განხორციელების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი საზოგადოების ინფორმირებულობაა, მოცემული სტატია საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე ([www.parliament.ge](http://www.parliament.ge)) კანონშემოქმედებითი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოპოვების, კანონპროექტის მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობისა და პარლამენტის

წევრების კანონპროექტების შემუშავებასთან დაკავშირებულ პროცესში საზოგადოების მონაწილეობის არსებული მექანიზმების მიმოხილვას გთავაზობთ.

## კანონშემოქმედებით პროცესში მოსახლეობის ჩართულობის მექანიზმები


### კანონპროექტის წარდგენა

კანონშემოქმედებით პროცესში მოსახლეობის ჩართულობაზე საუბრისას, უპირველესყოვლისა, აღსანიშნავია პარლამენტისათვის კანონპროექტის წარდგენის მექანიზმები. ამასთან, უნდა განისაზღვროს, რომ კანონპროექტის წარდგენის უფლება აქვთ: საქართველოს მთავრობას, პარლამენტის წევრს, კომიტეტს, ფრაქციას, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს და არანაკლებ 30,000 ამომრჩეველს. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული სტატიის მიზანია კანონშემოქმედებით პროცესში მოსახლეობის ჩართულობის მექანიზმების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობა, განსაკუთრებულ ყურადღებას არანაკლებ 30,000 ამომრჩეველის მიერ პარლამენტში კანონპროექტის წარდგენის შესაძლებლობა იმსახურებს და ის ქვემოთ მოცემულ სქემაშია ასახული.



## საკანონმდებლო წინადადების წარდგენა

საკანონმდებლო წინადადება წარმოადგენს საკანონმდებლო ინიციატივის არმქონე პირის მიერ პარლამენტისათვის წარდგენილ მიმართვას ახალი კანონის მიღების, კანონში ცვლილებების შეტანის ან კანონის ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე და ის ქვემოთ მოცემულ სქემაშია ასახული.




კანონპროექტსა და საკანონმდებლო წინადადებას შორის ძირითადი სხვაობა მათ წარმდგენ პირებში მდგომარეობს. ამასთან, კანონპროექტს უკვე მომავალი კანონის სახე აქვს, ის შეიცავს თავებსა და მუხლებს, ხოლო საკანონმდებლო წინადადება კანონის

ზოგად იდეას ან კონცეფციას წარმოადგენს. გარდა ამისა, მოქალაქეების კანონშემოქმედებით პროცესთან დაკავშირებით ხელთარსებული მექანიზმების განხილვისას, უნდა აღინიშნოს, რომ საკანონმდებლო ინიციატივისა და საკანონმდებლო წინადადების წარდგენის გარდა, მოქალაქეს უფლება აქვს მიმართოს უშუალოდ პარლამენტის წევრს, გააცნოს მას კანონპროექტი და ეს უკანასკნელი, მის მიერ კანონპროექტის მოწონების შემთხვევაში, უფლებამოსილია საკანონმდებლო ინიციატივით მიმართოს პარლამენტს.

## კანონპროექტის განხილვის სტადიები

კანონშემოქმედებითი პროცესის უკეთ აღსაქმელად, ქვემოთ მოცემულია პარლამენტის მიერ კანონპროექტის განხილვის სტადიების სქემა.




კანონპროექტის განხილვის სტადიებზე საუბრისას, ასევე საყურადღებოა, თუ რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტის სხდომაზე კანონპროექტმა ვერ დააგროვა მიღებისათვის საკმარისი ხმათა რაოდენობა. აღნიშნული ქვემოთ მოცემულ სქემაშია ასახული.





## პეტიციის წარდგენა

კანონშემოქმედებით პროცესში მონაწილეობის მიღების კიდეც ერთ მექანიზმს პეტიცია წარმოადგენს. პეტიცია არის პირთა ჯგუფის წერილობითი მიმართვა, რომელიც შეეხება სახელმწიფოებრივ ან საერთო პრობლემებიდან გამომდინარე საკითხს და მისი შეტანის წესი ქვემოთ არსებულ სქემაშია მოცემული.





## კანონპროექტზე კომენტარის დატოვება

კანონშემოქმედებით პროცესში მოსახლეობის ხელთარსებული მექანიზმების განხილვისას, ასევე საყურადღებოა საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე განთავსებულ კანონპროექტებზე კომენტარის დატოვების შესაძლებლობის არსებობა. სახელდობრ, თითოეული დოკუმენტის გასწვრივ კომენტარის დატოვების ლოგოა მოთავსებული (იხ. სურათი #1). კომენტარის დატოვების ბმულზე გადასვლის შემთხვევაში, მომხმარებელს უკვე არსებული კომენტარების წაკითხვის საშუალება ეძლევა (იხ. სურათი #2). ამასთან, მომხმარებლების მიერ დატოვებული კომენტარების ქვემოთ, მოცემულია სექცია სახელწოდებით „თქვენი კომენტარი“. აღნიშნული სექციის ბმულზე გადასვლის შემთხვევაში, მომხმარებელს საკუთარი კომენტარის დატოვების შესაძლებლობა ეძლევა (იხ. სურათი #3).

### სურათი #1

საქართველოს პარლამენტი

პანორამა № 16148/8 × № 07-3/607/8 ×

| რეგ. №     | თარიღი ↓   | კანონპროექტის დასახელება                                                                                                            | ინიციატორი                              | ტიპი                        | სტატუსი |
|------------|------------|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------------------------------------|-----------------------------|---------|
| 16148/8    | 18-10-2016 | სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენება 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტზე“ | სახელმწიფო აუდიტის სამსახური            | დასკვნა                     | ○       |
| 16148/8    | 18-10-2016 | სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენება 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტზე...                                                            | სახელმწიფო აუდიტის სამსახური            | ანგარიში                    | ○       |
| 07-2/515/8 | 30-09-2016 | „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“                                                                                 | საქართველოს მთავრობა                    | საქართველოს კანონის პროექტი | ○       |
| 07-3/607/8 | 29-09-2016 | „საქართველოს პარლამენტის წევრების ეთიკის კოდექსი“                                                                                   | საქ. პარლამენტის წევრები: გ. მაღრაძე... | საქართველოს პარლამენტის ... | ○       |
| 15751/8    | 29-09-2016 | 2017-2019 წლების ფულად-საკრედიტო და საფულტო პოლიტიკის ძირითადი მ...                                                                 | საქართველოს ეროვნული ბანკი              | საქართველოს პარლამენტის ... | ○       |
| 15769/8    | 29-09-2016 | „რეგიონული განვითარებისა და მუნიციპალური დანიშნულების ფინანსების მა...                                                              | საქართველოს სტრატეგიული კვლევ...        | საკანონმდებლო წინადადება    | ○       |
| 07-2/514/8 | 26-09-2016 | „საქართველოსა და ევროპის კავშირის შორის საიდუმლო ინფორმაციის გაცემა...                                                              | საქართველოს მთავრობა                    | შეთანხმება                  | ○       |
| 15580/8    | 26-09-2016 | „2017 წლისათვის საქართველოს სახელმწიფო მართვის რეორგანიზაციის დამტკიცების...                                                        | საქართველოს ეროვნული უშიშროებ...        | წარდგინება                  | ○       |
| 15632/8    | 26-09-2016 | „საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილები...                                                                | ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ...      | საკანონმდებლო წინადადება    | ○       |
| 28963/8    | 19-09-2016 | „საარსებო მოქმედების განმარტების წესის შესახებ“                                                                                     | მოქ. : გ. თარგამაძე მ. ანკაშვილი გ. ... | საკანონმდებლო წინადადება    | ○       |
| 07-2/513/8 | 09-09-2016 | „მხიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის სამთავრობო პროგრამა...                                                               | საქართველოს მთავრობა                    | ანგარიში                    | ○       |
| 9780/8     | 06-09-2016 | თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის მიერ 2015 წლის საშემოდგომო სესიოდ...                                                             | თავდაცვისა და უშიშროების კომიტე...      | ანგარიში                    | ○       |
| 9802/8     | 06-09-2016 | დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის მიერ 2015 ...                                                             | დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომ...     | ანგარიში                    | ○       |

შუდები 1 - 25 - 7837 - დას

### სურათი #2

საქართველოს პარლამენტი

პანორამა № 9802/8 × „საქართველოს პარლამენტის წევრების ეთიკის კოდექსი“ ×

| რეგ. №     | თარიღი ↓   | კანონპროექტის დასახელება                                                                                                            | ინიციატორი                              | ტიპი                        | სტატუსი |
|------------|------------|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------------------------------------|-----------------------------|---------|
| 16148/8    | 18-10-2016 | სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენება 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტზე“ | სახელმწიფო აუდიტის სამსახური            | დასკვნა                     | ○       |
| 16148/8    | 18-10-2016 | სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენება 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტზე...                                                            | სახელმწიფო აუდიტის სამსახური            | ანგარიში                    | ○       |
| 07-2/515/8 | 30-09-2016 | „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“                                                                                 | საქართველოს მთავრობა                    | საქართველოს კანონის პროექტი | ○       |
| 07-3/607/8 | 29-09-2016 | „საქართველოს პარლამენტის წევრების ეთიკის კოდექსი“                                                                                   | საქ. პარლამენტის წევრები: გ. მაღრაძე... | საქართველოს პარლამენტის ... | ○       |
| 15751/8    | 29-09-2016 | 2017-2019 წლების ფულად-საკრედიტო და საფულტო პოლიტიკის ძირითადი მ...                                                                 | საქართველოს ეროვნული ბანკი              | საქართველოს პარლამენტის ... | ○       |
| 15769/8    | 29-09-2016 | „რეგიონული განვითარებისა და მუნიციპალური დანიშნულების ფინანსების მა...                                                              | საქართველოს სტრატეგიული კვლევ...        | საკანონმდებლო წინადადება    | ○       |
| 07-2/514/8 | 26-09-2016 | „საქართველოსა და ევროპის კავშირის შორის საიდუმლო ინფორმაციის გაცემა...                                                              | საქართველოს მთავრობა                    | შეთანხმება                  | ○       |
| 15580/8    | 26-09-2016 | „2017 წლისათვის საქართველოს სახელმწიფო მართვის რეორგანიზაციის დამტკიცების...                                                        | საქართველოს ეროვნული უშიშროებ...        | წარდგინება                  | ○       |
| 15632/8    | 26-09-2016 | „საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილები...                                                                | ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ...      | საკანონმდებლო წინადადება    | ○       |
| 28963/8    | 19-09-2016 | „საარსებო მოქმედების განმარტების წესის შესახებ“                                                                                     | მოქ. : გ. თარგამაძე მ. ანკაშვილი გ. ... | საკანონმდებლო წინადადება    | ○       |
| 07-2/513/8 | 09-09-2016 | „მხიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის სამთავრობო პროგრამა...                                                               | საქართველოს მთავრობა                    | ანგარიში                    | ○       |
| 9780/8     | 06-09-2016 | თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის მიერ 2015 წლის საშემოდგომო სესიოდ...                                                             | თავდაცვისა და უშიშროების კომიტე...      | ანგარიში                    | ○       |
| 9802/8     | 06-09-2016 | დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის მიერ 2015 ...                                                             | დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომ...     | ანგარიში                    | ○       |

შუდები 1 - 25 - 7837 - დას

### სურათი #3


The screenshot shows the official website of the Parliament of Georgia. The header includes the coat of arms and the text 'საქართველოს პარლამენტი'. Below the header, there is a search bar and social media links. The main content area displays a list of bills (პროექტები) with columns for bill number, date, and status. A comment section is visible on the right side of the page, with a red box highlighting a specific comment. The comment discusses the impact of the bill on the population and mentions the need for a referendum.

ზემოთ მოცემული სურათიდან ჩანს, რომ მომხმარებლის მიერ კომენტარის დატოვებისათვის ვერიფიკაციის გავლაა საჭირო. ვერიფიკაციის გასავლელად, მომხმარებელმა შესაყვან ველში საკუთარი ტელეფონის ნომერი უნდა მიუთითოს, რომელზეც შემდგომ SMS კოდი იქნება გადმოგზავნილი.

### სად შეიძლება პარლამენტში შემოსული კანონპროექტების ნახვა?


კანონპროექტის მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობის მექანიზმების შეფასების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კრიტერიუმს კანონპროექტზე წვდომისა და მასთან გაცნობის ონლაინ პლატფორმების არსებობა წარმოადგენს. ამ მხრივ საყურადღებოა, რომ ზემოთ უკვე განხილული პარლამენტის ვებგვერდის საწყის გვერდზე მოცემულია განყოფილება სახელწოდებით „კანონმდებლობა“. აღნიშნულ განყოფილებაზე კურსორის მიტანის შემთხვევაში, ვებგვერდის მომხმარებელს შესაძლებლობა ეძლევა ჩამოშლილი კატეგორიებიდან ერთ-ერთი აირჩიოს (იხ. სურათი #4).

## სურათი #4



„კანონმდებლობის“ განყოფილებაზე კურსორის მიტანის შედეგად ჩამოშლილ კატეგორიებიდან ერთ-ერთს „მოძებნე კანონმდებლობა“ წარმოადგენს (იხ. სურათი #5).

## სურათი #5



ბმულზე გადასვლის შემთხვევაში, მომხმარებელი კანონპროექტების განყოფილებაში გადადის, სადაც დოკუმენტები თარიღის მიხედვით არის განთავსებული. ამასთან, აღნიშნული დოკუმენტები მათი რეგისტრაციის ნომრის, დასახელების, ინიციატორის, ტიპისა და სტატუსის მიხედვითაა დახარისხებული (იხ. სურათი #6). დოკუმენტის სტატუსზე კურსორის მიტანის შემთხვევაში, მომხმარებელს შესაძლებლობა ეძლევა გაეცნოს, თუ რა სტადიაზე იმყოფა კანონპროექტი, მიიღოს ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რომელი მოსმენით ხდება მისი განხილვა და სხვა.

## სურათი #6

| საქართველოს პარლამენტი |            |                                                                                                                             |                                           |                             |         |  |
|------------------------|------------|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------|-----------------------------|---------|--|
| კანონპროექტები         |            |                                                                                                                             |                                           |                             |         |  |
| რეგ. №                 | თარიღი     | კანონპროექტის დასახელება                                                                                                    | ინიციატორი                                | ტიპი                        | სტატუსი |  |
| 16522/8                | 31-10-2016 | „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 9 თვის მიმოხილვის ანგარიში“                                           | საქართველოს მთავრობა                      | ანგარიში                    | ○       |  |
| 16148/8                | 18-10-2016 | სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 9 თვის მიმოხილვის ანგარიში“     | სახელმწიფო აუდიტის სამსახური              | დასკვნა                     | ○       |  |
| 16148/8                | 18-10-2016 | სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენება 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 9 თვის მიმოხილვის ანგარიში                 | სახელმწიფო აუდიტის სამსახური              | ანგარიში                    | ○       |  |
| 07-2/515/8             | 30-09-2016 | „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“                                                                         | საქართველოს მთავრობა                      | საქართველოს კანონის პროექტი | ○       |  |
| 07-3/607/8             | 29-09-2016 | „საქართველოს პარლამენტის წევრების ეთიკის კოდექსი“                                                                           | საქ. პარლამენტის წევრები: გ. მაღრაძე      | საქართველოს პარლამენტის ... | ○       |  |
| 15751/8                | 29-09-2016 | 2017-2019 წლების ფულად-საკრედიტო და საფულეტო პოლიტიკის ძირითადი მიზნების განმარტება                                         | საქართველოს ეროვნული ბანკი                | საქართველოს პარლამენტის ... | ○       |  |
| 15769/8                | 29-09-2016 | „რეგიონული განვითარებისა და მუნიციპალური დანიშნულების ფინანსების მართვის საფუძვლად აღებული პრინციპების დამტკიცების თაობაზე“ | საქართველოს სტრატეგიული კვლევების ცენტრი  | საკანონმდებლო წინადადება    | ○       |  |
| 07-2/514/8             | 26-09-2016 | „საქართველოსა და ევროპის კავშირის შორის საიდუმლო ინფორმაციის გაცემაზე“                                                      | საქართველოს მთავრობა                      | შეთანხმება                  | ○       |  |
| 15580/8                | 26-09-2016 | „2017 წლისათვის საქართველოს საშემოსულო-სამაგრი საგნების დამტკიცების თაობაზე“                                                | საქართველოს ეროვნული უშიშროების სამსახური | წარდგენა                    | ○       |  |
| 15632/8                | 26-09-2016 | „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე“                                        | ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ...        | საკანონმდებლო წინადადება    | ○       |  |
| 28963/8                | 19-09-2016 | „საარსებო მიზნების გაანგარიშების წესის შესახებ“                                                                             | შოქ. გ. თარგამაძე მ. ანკაშვილი გ. ...     | საკანონმდებლო წინადადება    | ○       |  |
| 07-2/513/8             | 09-09-2016 | „მლოერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის სამთავრობო პროგრამის განხორციელების თაობაზე“                                 | საქართველოს მთავრობა                      | ანგარიში                    | ○       |  |
| 9780/8                 | 06-09-2016 | თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის მიერ 2015 წლის საშემოსულო-სამაგრი საგნების დამტკიცების თაობაზე                           | თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი         | ანგარიში                    | ○       |  |

ამასთან, საყურადღებოა, რომ კანონპროექტების განყოფილება მომხმარებელს ძიებისა და აგრეთვე დეტალური ძიების განხორციელების შესაძლებლობასაც სთავაზობს. დეტალური ძიების განხორციელების შესაძლებლობა სისტემის ცალსახად დადებით მხარეს წარმოადგენს, რადგანაც მასში ჩამოთვლილია ძიების განხორციელებისათვის აუცილებელი რამდენიმე პარამეტრი (კანონპროექტის სახელი, რეგისტრაციის ნომერი, მიღების თარიღი და სხვა) და ამ პარამეტრთაგან ერთ-ერთის შეყვანაც კი საკმარისია იმისათვის, რომ მომხმარებელმა სასურველი კანონპროექტი მოიძიოს (იხ. სურათი #7).

## სურათი #7

| საქართველოს პარლამენტი |            |                                                                                                   |                                           |                             |         |  |
|------------------------|------------|---------------------------------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------|-----------------------------|---------|--|
| კანონპროექტები         |            |                                                                                                   |                                           |                             |         |  |
| რეგ. №                 | თარიღი     | კანონპროექტის დასახელება                                                                          | ინიციატორი                                | ტიპი                        | სტატუსი |  |
| 07-2/514/8             | 26-09-2016 | „საქართველოს 2017 წლისათვის საშემოსულო-სამაგრი საგნების დამტკიცების თაობაზე“                      | საქართველოს მთავრობა                      | საქართველოს კანონის პროექტი | ○       |  |
| 15580/8                | 26-09-2016 | „2017 წლისათვის საქართველოს საშემოსულო-სამაგრი საგნების დამტკიცების თაობაზე“                      | საქართველოს ეროვნული უშიშროების სამსახური | წარდგენა                    | ○       |  |
| 15632/8                | 26-09-2016 | „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე“              | ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ...        | საკანონმდებლო წინადადება    | ○       |  |
| 28963/8                | 19-09-2016 | „საარსებო მიზნების გაანგარიშების წესის შესახებ“                                                   | შოქ. გ. თარგამაძე მ. ანკაშვილი გ. ...     | საკანონმდებლო წინადადება    | ○       |  |
| 07-2/513/8             | 09-09-2016 | „მლოერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის სამთავრობო პროგრამის განხორციელების თაობაზე“       | საქართველოს მთავრობა                      | ანგარიში                    | ○       |  |
| 9780/8                 | 06-09-2016 | თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის მიერ 2015 წლის საშემოსულო-სამაგრი საგნების დამტკიცების თაობაზე | თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი         | ანგარიში                    | ○       |  |
| 9802/8                 | 06-09-2016 | დაარსების 100-ე წლისადმი მიძღვნილი კანონპროექტი                                                   | საქართველოს მთავრობა                      | ანგარიში                    | ○       |  |
| 07-2/510/8             | 05-09-2016 | „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“                                               | საქართველოს მთავრობა                      | საქართველოს კანონის პროექტი | ○       |  |
| 07-2/511/8             | 05-09-2016 | „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“                                               | საქართველოს მთავრობა                      | საქართველოს კანონის პროექტი | ○       |  |
| 07-2/512/8             | 05-09-2016 | „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“                                               | საქართველოს მთავრობა                      | საქართველოს კანონის პროექტი | ○       |  |
| 9762/8                 | 05-09-2016 | საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის მიერ საქართველოს VIII მოწვევის პარლამენტის ...                      | საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი              | ანგარიში                    | ○       |  |
| 9720/8                 | 05-09-2016 | 2016 წლის 1 აგვისტოდან 2016 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით ადამიანის უფლებების ...                      | ადამიანის უფლებათა დაცვისა და სა...       | ანგარიში                    | ○       |  |
| 9779/8                 | 05-09-2016 | საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის მიერ 2015 წლის 1 სექტემბრის ...                         | საპროცედურო საკითხთა და წესების ...       | ანგარიში                    | ○       |  |

კანონპროექტის სრული ტექსტის სანახავად, მომხმარებელმა დოკუმენტების ჩამონათვალიში არსებული ან ძიების შედეგად ნაპოვნი დოკუმენტის ბმულზე უნდა გადავიდეს. აღნიშნულის შედეგად, მომხმარებელი კონკრეტულ კანონპროექტზე გადადის, სადაც დეტალურად არის მოცემული კანონპროექტის ინიციატორის ვინაობა, მისი ავტორი, პარლამენტში წარდგენის თარიღი და სხვა ძირითადი მონაცემები (ბიუროზე განხილვის თარიღი, ბიუროს ნომერი და სხვა) (იხ. სურათი #8).



## სურათი #8

საქართველოს პარლამენტი

პანონპროექტები № 16148/8 × № 07-3/607/8

07-3/607/8 № 1

**პირითადი მონაცემები**

ბიუროზე განხილვის თარიღი: 03/10/2016

ბიუროს წამური: 427

წამური კომიტეტზე საკომიტეტო მოსმენის საგარეულო თარიღი

საწყისი: 07/10/2016 საბოლოო: 24/10/2016

სხვა კომიტეტებზე საკომიტეტო მოსმენის საგარეულო თარიღი

საწყისი: 07/10/2016 საბოლოო: 17/10/2016

პლენარულ სხდომაზე განხილვის საგარეულო თარიღი

საწყისი: 19/10/2016 საბოლოო: 04/11/2016

კომიტეტები

ფაილები

რაც შეეხება კანონპროექტის სრულ ტექსტს და მასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას (განმარტებითი ბარათი, პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილება განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ და სხვა), აღნიშნულ ინფორმაციასთან გასაცნობად, მომხმარებელმა ძირითადი მონაცემების ქვემოთ განთავსებული ფაილების სექციის ბმულზე უნდა გადავიდეს. რის შედეგადაც PDF ფორმატში ატვირთული დოკუმენტაცია ჩამოიშლება (იხ. სურათი #9).

## სურათი #9

საქართველოს პარლამენტი

პანონპროექტები № 16148/8 × № 07-3/607/8

07-3/607/8 № 1

**ფაილები**

საქართველოს პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილება წარმართული აქტის პროექტის განხილვის პრ...

წერილი.pdf 03/10/2016

წერილი.pdf 03/10/2016

საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტი.pdf 03/10/2016

განმარტებითი ბარათი.pdf 03/10/2016

ამასთან, აღნიშნული პლატფორმა მომხმარებელს დოკუმენტის ტიპში საკანონმდებლო წინადადების მითითების შესაძლებლობასაც სთავაზობს (იხ. სურათი #10). აღნიშნული პარამეტრით ძიების განხორციელებისა და საკანონმდებლო წინადადებებთან გაცნობის შესაძლებლობა მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს, რადგანაც უკანასკნელ დრომდე, ზემოხსენებული დოკუმენტაცია პროაქტიულად არ ქვეყნდებოდა

სურათი #10

14 | I D F I

## სურათი #11

| საქართველოს პარლამენტი |            |                                                                            |                                        |                          |         |
|------------------------|------------|----------------------------------------------------------------------------|----------------------------------------|--------------------------|---------|
| კანონპროექტები         |            |                                                                            |                                        |                          |         |
| რეგ. №                 | თარიღი     | კანონპროექტის დასახელება                                                   | ინიციატორი                             | ტიპი                     | სტატუსი |
| 15769/8                | 29-09-2016 | „რეგიონული განვითარებისა და მუნიციპალური დანაშაულების ფინანსების მა...     | საქართველოს სტრატეგიული კვლევ...       | საკანონმდებლო წინადადება |         |
| 15632/8                | 26-09-2016 | „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილები...        | ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის...      | საკანონმდებლო წინადადება |         |
| 28963/8                | 19-09-2016 | „საარსებო მინიმუმის გაანგარიშების წესის შესახებ“                           | მოქ.: გ. თარგამაძე მ. ანკაშვილი გ. ... | საკანონმდებლო წინადადება |         |
| 12908/8                | 21-07-2016 | „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილები...        | საქართველოს სახალხო დამცველი           | საკანონმდებლო წინადადება |         |
| 13470/8                | 07-07-2016 | „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაო...  | მოქ.: მიხეილ ნოზაძე                    | საკანონმდებლო წინადადება |         |
| 13470/8                | 07-07-2016 | „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის ...     | მოქ.: მიხეილ ნოზაძე                    | საკანონმდებლო წინადადება |         |
| 13470/8                | 07-07-2016 | „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დებულ...      | მოქ.: მიხეილ ნოზაძე                    | საკანონმდებლო წინადადება |         |
| 10862/8                | 15-06-2016 | „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“              | ა(ა)პ „საქართველოს დისტრიბუტორ...      | საკანონმდებლო წინადადება |         |
| 10510/8                | 09-06-2016 | „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების...     | ა(ა)პ „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“        | საკანონმდებლო წინადადება |         |
| 10372/8                | 08-06-2016 | „შრომითი ურთიერთობების რეგულირების საკითხებზე“                             | მოქ. ინგა ბენაშვილი                    | საკანონმდებლო წინადადება |         |
| 10032/8                | 02-06-2016 | „უსახლკაროთა შესახებ“                                                      | ა(ა)პ „უმუშევართა კავშირი დასაქმე...   | საკანონმდებლო წინადადება |         |
| 9831/8                 | 31-05-2016 | „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ ... | მოქ. თამარ ქოქოსაძე                    | საკანონმდებლო წინადადება |         |
| 9855/8                 | 31-05-2016 | „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს თვითმმართველობის კოდექსი...      | საქართველოს ბიზნეს ასოციაცია           | საკანონმდებლო წინადადება |         |

## სურათი #12

ძირითადი მონაცემები

ბიუროზე განხილვის თარიღი:

15/02/2016

ბიუროს ნომერი:

375

კომიტეტები

ფაილები

წერილი.pdf

საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტი.pdf დანართი

განმარტებითი ბარათი.pdf დანართი

იმ მუხლების მოქმედი რედაქცია, რომლებშიც წარმოდგენილი კანონპროექტით შედის ცვლილება.pd...

დანართი.pdf 1


საქართველოს პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილება.pdf

## სად შეიძლება კენჭისყრის შედეგების ნახვა?

საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე, კანონპროექტებთან გაცნობის ონლაინ პლატფორმასთან ერთად, კენჭისყრის შედეგების ნახვისათვის განკუთვნილი პლატფორმაც მოქმედებს. აღნიშნული პლატფორმა საწყის გვერდზე არსებულ „კანონმდებლობის“ განყოფილებაზე კურსორის მიტანის შედეგად ჩამოშლილ კატეგორიებიდან ერთ-ერთს წარმოადგენს (იხ. სურათი #13).




## სურათი #13



კატეგორიის ბმულზე გადასვლის შემთხვევაში, მომხმარებელი კენჭისყრის შედეგების განყოფილებაში გადადის, რომელიც კანონის სათაურის, პარლამენტის წევრისა და მიღების თარიღის მითითებით, მომხმარებელს კენჭისყრის შედეგების დეტალური მიხედვით განხორციელებას სთავაზობს (იხ. სურათი #14). ამასთან, მომხმარებელს, რომლისთვისაც არ არის ცნობილი კანონის პარამეტრები (სათაური, პარლამენტის წევრი ან მიღების თარიღი), შესაძლებლობა ეძლევა კენჭისყრის შედეგები იმავე განყოფილებაში არსებული „კანონების“ სექციის ბმულზე გადასვლით იხილოს. აღნიშნულ სექციაში, მომხმარებელი კენჭისყრის შედეგების ჩამონათვალის გვერდზე გადადის. ჩამონათვალი კენჭისყრის შედეგები თარიღის მიხედვითაა განთავსებული (იხ. სურათი #15 და სურათი #16).

## სურათი #14



## სურათი #15

კენჭისყრის შედეგები **კანონები** პარლამენტის წევრები სიახლეების გამოწერა API English

კენჭისყრის შედეგები

კანონის სათაური

პარლამენტის წევრი

პარლამენტი ☒ 2012 - 2016 (მე-8 მოწვევის პარლამენტი) ☐ 2008 - 2012 (მე-7 მოწვევის პარლამენტი)

მიღების თარიღი  დანების თარიღი  დარღულების თარიღი

**მიზეზი**

## სურათი #16

კენჭისყრის შედეგები **კანონები** პარლამენტის წევრები სიახლეების გამოწერა API English

გასული კანონები

პარლამენტი: ☒ 2012 - 2016 (მე-8 მოწვევის პარლამენტი) ☐ 2008 - 2012 (მე-7 მოწვევის პარლამენტი)

მიღების თარიღი:  დანების თარიღი  დარღულების თარიღი

აჩვენე  10  ჩანაწერი

მიზეზი:

| მიღების თარიღი | კანონის სათაური                                                                                                | პარლამენტი                             | მომხრე | მოწინააღმდეგე | არ მიუცია | არ მიუცია / არ გაწერებოდა * |
|----------------|----------------------------------------------------------------------------------------------------------------|----------------------------------------|--------|---------------|-----------|-----------------------------|
| 2016-06-24     | „საავტორო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე                                      | 2012 - 2016 (მე-8 მოწვევის პარლამენტი) | 77     | 0             | 0         | 73                          |
| 2016-06-24     | „საქონლის/ცხოველის საკვების უზენაესობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ | 2012 - 2016 (მე-8 მოწვევის პარლამენტი) | 79     | 0             | 0         | 71                          |
| 2016-06-24     | „მუწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ                                              | 2012 - 2016 (მე-8 მოწვევის პარლამენტი) | 79     | 0             | 0         | 71                          |
| 2016-06-24     | „საშოთხი მთავრობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ                                      | 2012 - 2016 (მე-8 მოწვევის პარლამენტი) | 78     | 0             | 0         | 72                          |
| 2016-06-24     | „საზოგადოებრივი უკუკავშირების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე                           | 2012 - 2016 (მე-8 მოწვევის პარლამენტი) | 78     | 0             | 0         | 72                          |
| 2016-06-24     | „საქონლის/ცხოველის საკვების უზენაესობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ | 2012 - 2016 (მე-8 მოწვევის პარლამენტი) | 76     | 0             | 0         | 74                          |

ასევე საყურადღებოა, რომ კენჭისყრის ჩამონათვალში მოცემულია კანონპროექტის სახელწოდება, ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რომელი მოწვევის პარლამენტმა უყარა მას კენჭი, რამდენი პარლამენტარი იყო კანონპროექტის მომხრე და მოწინააღმდეგე და რამდენ პარლამენტარს არ მიუცია ხმა ან არ ესწრებოდა სხდომას.

შედეგების კიდევ უფრო დეტალურად ნახვისათვის, მომხმარებელმა კენჭისყრის შედეგების ჩამონათვალში მისთვის საინტერესო კანონის ბმულზე უნდა გადავიდეს. ამის შემდგომ, ბმულს კონკრეტული კანონპროექტის კენჭისყრის შედეგზე გადაყვართ, სადაც მოცემულია კანონპროექტის მიღების თარიღი, პარლამენტი (რომელი მოწვევის), კანონის სათაური, კანონის ნომერი, კენჭისყრის სხდომების თარიღი და კანონპროექტის მომხრე და მოწინააღმდეგე პარლამენტარების რაოდენობა (იხ. სურათი #17).

აღსანიშნავია, რომ კონკრეტული კენჭისყრის შედეგის გვერდზე აგრეთვე მოცემულია იმ პარლამენტარების ვინაობა, რომლებმაც კანონპროექტის კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღეს (იხ. სურათი #18).

## სურათი #17

კენჭისყრის შედეგები

კანონები

პარლამენტის წევრები

სიახლეების გამოწერა

API

English

### კანონი: „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (24 ივნ 2016)

- მიღების თარიღი: 24 ივნ 2016
- პარლამენტი: მე-8 მოწვევის პარლამენტი
- კანონის სათაური: „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე
- კანონის ნომერი: 5567-III
- კანონის ტექსტი:

| კენჭისყრის<br>სხდომა               | კენჭისყრის<br>თარიღი | მომხრე | მოწინააღმდეგე | არ<br>მიუცია † | არ<br>ესწრებოდა* |
|------------------------------------|----------------------|--------|---------------|----------------|------------------|
| I მოსმენის კენჭისყრის<br>რეზიუმე   | 2016-05-27           | 73     | 0             | 0              | 77               |
| II მოსმენის კენჭისყრის<br>რეზიუმე  | 2016-06-08           | 77     | 0             | 0              | 73               |
| III მოსმენის კენჭისყრის<br>რეზიუმე | 2016-06-24           | 77     | 0             | 0              | 73               |

† - აღნიშნული შედეგი ფიქტიურია. მოლოდინი იმ შემთხვევაში, როცა კონკრეტულ საკითხზე კენჭისყრის მიმდინარეობისას დეპუტატი მძარბავს საორგანიზაციო დებატებზე, მისი ხმა დაფიქსირდება, როგორც 'არ მიუცია'.

\* - 'არ მიუცია/არ ესწრებოდა' - არსებული კენჭისყრის სისტემა დებატებს არ აძლევს საშუალებას, დააფიქსიროს ხმის მიღებისგან თავის შეკავება და, ამაღროდ, არ იძლევა საშუალებას, განვსაზღვროთ 'არ ესწრებოდა' და 'არ მიუცია'.

## სურათი #18

კენჭისყრის შედეგები

კანონები

პარლამენტის წევრები

სიახლეების გამოწერა

API

English

| სახელი             | I მოსმენის ხმა            | II მოსმენის ხმა           | III მოსმენის ხმა          |
|--------------------|---------------------------|---------------------------|---------------------------|
| აბაშიძე ზურაბი     | არ მიუცია / არ ესწრებოდა* | არ მიუცია / არ ესწრებოდა* | არ მიუცია / არ ესწრებოდა* |
| აბა ჯალაღიძერი     | დიახ                      | დიახ                      | დიახ                      |
| ახალაია როლანდი    | არ მიუცია / არ ესწრებოდა* | არ მიუცია / არ ესწრებოდა* | არ მიუცია / არ ესწრებოდა* |
| ბარათაშვილი პაატა  | დიახ                      | დიახ                      | დიახ                      |
| ბარამიძე გიორგი    | არ მიუცია / არ ესწრებოდა* | არ მიუცია / არ ესწრებოდა* | არ მიუცია / არ ესწრებოდა* |
| ბაქრაძე დავით      | არ მიუცია / არ ესწრებოდა* | არ მიუცია / არ ესწრებოდა* | არ მიუცია / არ ესწრებოდა* |
| ბაშვილიშვილი ივანე | არ მიუცია / არ ესწრებოდა* | დიახ                      | დიახ                      |
| ბედაშვილი ლევან    | არ მიუცია / არ ესწრებოდა* | არ მიუცია / არ ესწრებოდა* | არ მიუცია / არ ესწრებოდა* |
| ბეჟუაშვილი დავით   | არ მიუცია / არ ესწრებოდა* | არ მიუცია / არ ესწრებოდა* | არ მიუცია / არ ესწრებოდა* |
| ბერძენიშვილი დავით | დიახ                      | დიახ                      | დიახ                      |
| ბერძენიშვილი ლევან | არ მიუცია / არ ესწრებოდა* | დიახ                      | არ მიუცია / არ ესწრებოდა* |
| ბესელია ეკა        | დიახ                      | დიახ                      | დიახ                      |
| ბოლშიძე აკაკი      | არ მიუცია / არ ესწრებოდა* | არ მიუცია / არ ესწრებოდა* | არ მიუცია / არ ესწრებოდა* |
| ბოლუაძე თინათინ    | არ მიუცია / არ ესწრებოდა* | არ მიუცია / არ ესწრებოდა* | არ მიუცია / არ ესწრებოდა* |
| ბოლოქვაძე ანზორ    | დიახ                      | დიახ                      | დიახ                      |
| ბუაჩიშვილი         | არ მიუცია / არ ესწრებოდა* | არ მიუცია / არ ესწრებოდა* | დიახ                      |

ამასთან, პარლამენტარის სახელისა და გვარის ბმულზე გადასვლის შემთხვევაში, მომხმარებელს ამ პარლამენტართან დაკავშირებულ სტატისტიკურ მონაცემებთან (სულ რამდენ კანონპროექტის მომხრე/მოწინააღმდეგე იყო, რამდენ კენჭისყრაში არ მიუცია ხმა, რამდენ კენჭისყრას არ ესწრებოდა და სხვა) გაცნობის საშუალება ეძლევა (იხ. სურათი #19 და სურათი #20).

## სურათი #19

კენჭისყრის შედეგები

კანონები

პარლამენტის წევრები

სიახლეების გამოწერა

API

English

### პარლამენტის წევრი: აბაშიძე ზურაბ

#### სტატისტიკა

| პარლამენტი                             | სულ | დიახ | არა | არ მიუცია† | არ მიუცია / არ ესწრებოდა* |
|----------------------------------------|-----|------|-----|------------|---------------------------|
| 2012 - 2016 (მე-8 მოწვევის პარლამენტი) | 695 | 684  | 11  | 0          | 814                       |

† - აღნიშნული შედეგი ფიქსირდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა კონკრეტულ საკითხზე კენჭისყრის მიზნადარჩენილი დეპუტატი მიმართავს საორგანიზაციო დეპარტამენტს, მისი ხმა დაფიქსირდეს, როგორც 'არ მიუცია'.

\* - 'არ მიუცია/არ ესწრებოდა' - არსებული კენჭისყრის სისტემა დეპუტატს არ აძლევს საშუალებას, დააფიქსიროს ხმის მიცემისგან თავის შეკავება და, ამავედროულად, არ იძლევა საშუალებას, განეხილავდეთ 'არ ესწრებოდა' და 'არ მიუცია'.

## სურათი #20

### კენჭისყრის შედეგები

არჩევნები

25

ჩანაწერი

მიღების თარიღი:

დამატების თარიღი:

მიზეზი:

| მიღების თარიღი | კანონის სათაური                                                                                 | წევრის დასწრება | შედეგი                    | იმდენი კანონპროექტზე კენჭისყრის შედეგები |               |            |                           |
|----------------|-------------------------------------------------------------------------------------------------|-----------------|---------------------------|------------------------------------------|---------------|------------|---------------------------|
|                |                                                                                                 |                 |                           | მომხრე                                   | მოწინააღმდეგე | არ მიუცია† | არ მიუცია / არ ესწრებოდა* |
| 2016-06-24     | „რეგიონალური სასამართლოს შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე                 | არა             | არ მიუცია / არ ესწრებოდა* | 76                                       | 0             | 0          | 74                        |
| 2016-06-24     | „მარტოების მართვის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“                                          | არა             | არ მიუცია / არ ესწრებოდა* | 77                                       | 0             | 0          | 73                        |
| 2016-06-24     | „საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“             | არა             | არ მიუცია / არ ესწრებოდა* | 74                                       | 0             | 0          | 76                        |
| 2016-06-24     | „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე               | არა             | არ მიუცია / არ ესწრებოდა* | 76                                       | 0             | 0          | 74                        |
| 2016-06-24     | „საქართველოს ორგანული კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ | არა             | არ მიუცია / არ ესწრებოდა* | 81                                       | 0             | 0          | 69                        |
| 2016-06-24     | „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე                         | არა             | არ მიუცია / არ ესწრებოდა* | 77                                       | 0             | 0          | 73                        |

## პარლამენტის პლენარულ და საკომიტეტო სხდომებზე ფიზიკური პირის დასწრება

კანონშემოქმედებით პროცესში მოქალაქის ჩართულობის კიდევ ერთ საშუალებას პარლამენტის პლენარულ და საკომიტეტო სხდომებზე დასწრება წარმოადგენს. პარლამენტის პლენარულ ან საკომიტეტო სხდომაზე დასწრების მსურველმა უნდა მიმართოს საქართველოს პარლამენტის წევრებს ან პარლამენტის აპარატის საჯარო მოსამსახურეებს, მათ შორის:

- პარლამენტის აპარატის უფროსს;
- პარლამენტის აპარატის უფროსის მოადგილეებს;
- პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტის უფროსს;
- პარლამენტის აპარატის დეპარტამენტების უფროსებს;
- პარლამენტის აპარატის უფროსის სამდივნოს უფროსს.

საშვის დაშვების უფლების მქონე პირების სრული ნუსხა დეტალურად პარლამენტის ვებგვერდზე განთავსებულ “საქართველოს პარლამენტის სასახლეში და მიმდებარე

ტერიტორიაზე უსაფრთხოების დაცვის რეჟიმის შესახებ” საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანების დანართ N 3-შია მოცემული:

## მიმაგრებული დოკუმენტები

-  დანართი N 1 2012–2016 წლების მოწვევის საქართველოს პარლამენტის წევრის მონაწილის ნიმუში
-  დანართი N 2 კოდიფიცირებული საქართველოს პარლამენტის სასახლეში შემოსასვლელი საშვების ნიმუშები
-  **დანართი N 3 კოდიფიცირებული საქართველოს პარლამენტის ქალაქ ქუთაისში მდებარე სასახლის A, B და C კორპუსების სტუმრებისათვის საქართველოს პარლამენტის სასახლეში შემოსასვლელი საშვის დაშვების უფლების მქონე პირთა ნუსხა**
-  დანართი N 4 კოდიფიცირებული საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომებზე დასწრებისა და სხდომის მომსახურების უფლების მქონე საქართველოს პარლამენტის აპარატის საჯარო მოსამსახურეების ნუსხა

სხდომაზე დასწრებაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, პარლამენტის წევრი ან პარლამენტის აპარატის საჯარო მოსამსახურე საშვის დაშვების თაობაზე წერილობით აცნობებს პარლამენტის დაცვის სამსახურს.

პლენარულ ან საკომიტეტო სხდომაზე დასწრების მსურველზე გაიცემა საქართველოს პარლამენტში შემოსასვლელი საში, რომელიც დეტალურად [“საქართველოს პარლამენტის სასახლეში და მიმდებარე ტერიტორიაზე უსაფრთხოების დაცვის რეჟიმის შესახებ” საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებით და მისი დანართებითაა](#) განსაზღვრული. აღნიშნული ბრძანება საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზეა განთავსებული:



საქართველოს  
პარლამენტი

ლია პარლამენტი | საბიუჯეტო ოფისი | სასარგებლო ბმულები | კონტაქტი

English

შეიქმნა

საპარლამენტო საქმიანობა | პარლამენტარები | კანონმდებლობა | მედია და საზოგადოება | **საჯარო ინფორმაცია**

 გვიყურეთ ონლაინ

მიმდინარეობს ვებგვერდის განახლება  
ბოდიშს გიხდით შეფერხებისთვის

ანონსი

 ზეჭედა

10:00თავმჯდომარისა და უშიშროების  
კომიტეტის  
თავმჯდომარის, ირაკლი  
სესიაშვილის შეხვედრა სომხეთის  
თავმჯდომარის მინისტრთან, გიგენ  
სარგსიანთან  
თბილისი, ბავრატოვანთა დარბაზი  
(A კორპუსი, III სართული, ოთახი  
309-310)

10:30იურიდიულ საკითხთა კომიტეტის



იურიდიულ საკითხთა კომიტეტი

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომა

პლენარული სხდომა

პარლამენტის სტრუქტურა და  
ფუნქციები

პარლამენტის მიერ მიღებული  
სამართლებრივი აქტები

სადეპუტატო კითხვა

პარლამენტის აპარატი

პარლამენტის ბიუჯეტი,  
პარლამენტის ფინანსური  
სახსრები მატერიალური  
საშუალებები, შრომის  
ანაზღაურება

ეუთოს სამპარლამენტო  
ასამბლეის 25-ე ყოველწლიური  
სესია


**ფიზიკური დასწრების  
უზრუნველყოფა**

საკონტაქტო ინფორმაცია



ამასთან, საყურადღებოა, რომ პლენარულ სხდომაზე დასწრების შემთხვევაში, მოქალაქეს არ აქვს საკუთარი თვალსაზრისის გამოთქმის უფლება, თუმცა საკომიტეტო სხდომაზე დასწრებისას, სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, მოქალაქეს შეიძლება მიეცეს სიტყვით გამოსვლის უფლება, რაც [პარლამენტის რეგლამენტის 49-ე მუხლითაა განსაზღვრული](#) და კანონშემოქმედებით პროცესში მოქალაქის ჩართულობის მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს.

კომიტეტის სხდომაზე დასწრებისათვის აუცილებელია მისი ჩატარების თარიღის და დღის წესრიგის ცოდნა. ეს ინფორმაცია პარლამენტის ვებგვერდზე განთავსებულ ანონსების სექციაშია მოცემული.



ანონსების სექციაში მოცემულია კომიტეტის სხდომის ჩატარების თარიღი, დრო და დარბაზი, რომელშიც ეს სხდომა ტარდება.

